ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის

ვლადიმერ ბოჟაძის

ანგარიში

2022 წლის
ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა კომისიისა და გარემოს დაცვის კომისიის წევრი.

➢ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ფრაქციის წევრი

დედაქალაქის მე-7 მოწვევის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისაგან შედგება. უმრავლესობის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განვიხილავთ და შესაბამის რეკომენდაციებს გავცემთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე. მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისგან ვისმენთ ანგარიშებს გაწეული სამუშაოების შესახებ. საანაგრიშო პერიოდში ჩატარდა 23 სხდომა და განვიხილეთ 42 საკითხი, მათ შრის, ისეთი მნიშვნელობის საკითხები, როგოიცაა დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, ასევე, სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული, ურბანული თუ გარემოს დაცვითი პოლიტიკის საკითხები.

ფრაქციის სხდომების ფორმატში, საშუალება გვაქვს, მოვიწვიოთ დედაქალაქის მთავრობის წევრები, მოვისმინოთ მათ საქმიანობის ანგარიშები, მივსჯელოთ სამომავლო გეგმებსა და მიზნებზე.

➢ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 15 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 649 დადგენილება და 113 განკარგულება. (განხილული საკითხებისა და

დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge

- ## სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - კომისიის წევრი

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 13 სხდომა, განვიხილეთ 52 საკითხი, მათ შორის: 34 განკარგულების და 10 დადგენილების პროექტი, ანგარიშები, კომისიის ინიციატივები, პროექტები და სხვადასხვა წერილები/განცხადებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია 20 სამართლებრივი დასკვნა და 13 კომისიის სხდომის ოქმი.

საანგარიშო პერიოდში, კომისიამ მხარი დაუჭირა არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რამაც ხელი შეუწყო დედაქალაქში სპორტის განვითარებასა და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებას, 2022 წლების ბიუჯეტით პროგრამებისთვის გამოყოფილია 41,294,3 ათასი ლარი.

თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის, მიღებული იქნა სხვადასხვა გადაწყვეტილებები.

- ## გარემოს დაცვის კომისია კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 17 სხდომა, განვიხილე 104 საკითხი.

კომისიის სხდომის ფორმატში, გამვართეთ არაერთი შეხვედრა მუნიციპალური სამსახურების წარმოამადგენლებთან, გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, მხარდაჭერილ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის N64-103 დადგენილებაში ცვლილების პროექტი.

- ასევე, „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე'' ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მოვისმინეთ მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის ანგარიშები, კერძოდ:

- ქალაქ თბილისის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში;
- შპს “თბილსერვის“ ჯგუფის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

➢ აქტივობები
გენდერული თანასწორობის საბჭო - საბჭოს წევრი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა. 2022 წლის იანვრიდან, გახლავართ აღნიშნული საბჭოს წევრი და აქტიურად ვარ ჩართული მის საქმიანობაში. საბჭოს მისიაა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური გაძლიერება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების

მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმების დამკვიდრება.

ანგარიში 2022